ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2024 წლის 29 თებერვალი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №2-ში (www. Matsne.gov.ge, 22/01/2024 წელი; სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.125.016501) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დანართი №2-ის პირველ პუნქტს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები 17 (ჩვიდმეტი) წლის ასაკამდე.“.

2. დანართი №2-ის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **იოსებ რობაქიძე**